



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

ბ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N51/3

2018 წლის 2 ივლისი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ
კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საჯარო სხდომაზე განიხილა მოქალაქე ზ. ჯაჭვლიანის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№7442/01. 20.06.2018), მოქალაქე მ. გივიშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№7613/01. 25.06.2018), მოქალაქე ვ. ძევისაშვილის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№7656/01. 26.06.2018), შპს „ბაკურიანის“ დირექტორის ზ. ჯინჭარაძის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№7692/01. 26.06.2018), მოქალაქე უ. ტაბატაძის სს „საქორგგაზის“ მიმართ (№7732/01. 27.06.2018) განცხადებების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადებათა დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის

თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლისა და კომისიის 2017 წლის 29 დეკემბრის N54 დადგენილებით დამტკიცებული „სადავო საკითხების განხილვის პროცედურული ქესების“ მე-14 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოქალაქე ზ. ჯაჭვლიანის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№7442/01. 20.06.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 21 სექტემბერი.
2. მოქალაქე მ. გივიშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ (№7613/01. 25.06.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 26 სექტემბერი.
3. მოქალაქე ვ. ძეგისაშვილის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№7656/01. 26.06.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 27 სექტემბერი.
4. შპს „ბაკურიანის“ დირექტორის ზ. ჯინჭარაძის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№7692/01. 26.06.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 27 სექტემბერი.

5. მოქალაქე უ. ტაბატაძის სს „საქორგაზის“ მიმართ (№7732/01. 27.06.2018), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2018 წლის 28 სექტემბერი.
 6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს განცხადების წარმდგენ პირებს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
 6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა შონია

კომისიის თავმჯდომარე - მ.შ.

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

